**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მანანა მინდაძის ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის შეხაბებ, ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის**

**ოქმი**

**შეხვედრის ჩატარების თარიღი: 17 ნოემბერი 2023 წელი.**

**შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - მერიის სხდომათა დარბაზი.**

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაალ მამალაძე;
სამანდტო, საპროცედურა საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე;
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე - ქეთევან სიხარულიძე;
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე;
საკრებულოს წევრი - მანანა მინდაძე;
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;
მერიის წარმომადგენლები;
ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ წარმომადგენლები;
სხვადასხვა სოფლის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები;
ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამასა და კონკურსში მონაწილე ქალები;
მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრები, ახალგაზრდები;
მოქალაქეები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88- მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა, მანანა მინდაძემ, ამომრჩვლებს წარუდგინა ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშობის შესახებ.

აღნიშნა, რომ არის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიისა და სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრი. აგრეთვე, არის გენდერული საბჭოს წევრი.

ასევე აღნიშნა: ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის განვითარების კომისიის

წევრისთვის აუცილებელი პირობაა მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია, რათა გავაცნოთ მოსახლეობას ის საინტერესო პროექტები, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს მოსახლეობის ეკონომიური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით . ამის გამო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩავატარე 33- გასვლითი შეხვედრა ,რომელსაც ესწრებოდა 520 - ფერმერი .შეხვედრები ჩავატარე სამუშაო ადგილზე ოფისში 1600-ფერმერზე პირადი კონსულტაციებით.

ფერმერებს გავაცანი სახელმწიფო პროგრამები : ,, დანერგე მომავალი", ,, შეღავათიანი აგროკრედიტი", ,,საპილოტე პროგრამა ქალებისთვის „ ,, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა" ,, კოოპერატივების განვითარების პროგრამა „ ,, ტექნიკური დახმარების პროგრამა" ,,თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა „ ,, ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა" ,,ბიოწარმოების პროგრამა" ,, სასოფლო სამეურნეო მექანიზაციის პროგრამა „ ,, მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ საძოვრების რაციონალურად გამოყენების პროგრამა" ,, მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა".

ძალიან სასიამოვნოა , რომ ამ შეხვედრების შედეგად მოხდა ფერმერთა დაინტერესება შესაბამის პროგრამებში , მაგალითად : დანერგე მომავალის ფარგლებში გაშენდა 34,4- ჰა მოცვის პლანტაცია ისარგებლა 44-მა ფერმერმა გაშენებულია კაკლოვანი კულტურების ბაღი 6,7-ჰა-ზე . ასევე პროგრამით მოეწყო დაფნის , ჟოლოსა და ინტენსიური ვაშლის ბაღები.

,, თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3300-ზე მეტი ფერმერი ,,ტექნიკური დახმარების პროგრამით „ისარგებლა ორმა ბენეფიციარმა ,, კოოპერატივის ხელშეწყობის პროგრამით ისარგებლა „ რვა ბენეფიციარმა ,,ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამით" ისარგებლა ორმა ფერმერმა ,, საპილოტე პროგრამა ქალებისათვის ისარგებლა 25-მა ფერმერმა მექანიზაციის პროგრამით ისარგებლა 3- მა ფერმერმა მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ საძოვრების რაციონალურად გამოყენების პროგრამით ისარგებლა ორმოცი ფერმერისაგან შემდგარმა ერთმა კოოპერატივმა .

გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)ი.პ ,,სოფლის განვითარების სააგენტოს, ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის" მთავარი სპეციალისტი, მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა სწორედ ამ კუთხით იქნება მიმართული(ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

მანანა მინდაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

სხდომის თვმჯდომარე